

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის  
სხდომის ოქმი  
№55

ქ. თბილისი; 26 დეკემბერი, 2019 წ. 16 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)  
გიორგი ჩაკვეტაძე  
ნინო რუხაძე  
ალექსანდრე ხუჯაძე  
ქეთევან მამულაშვილი  
ავთანდილ ცინცაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ილია ელოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი -  
გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე  
- გია გვენეტაძე

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი - დავით ჩანქსელიანი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი  
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის  
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „შპს „ცერერასთვის“ (ს/ზ 220355835) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
3. „შპს „ოპტიმასთვის“ (ს/ზ 405160819) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის NE-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი „საქსოფმანქანა“), IV კვარტალის კორპუს 11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
7. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა, კოტეჯი N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.005.027.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი #4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.09.005.162) შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის“ (ს/ზ: 404535446) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
10. „ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.007.031) 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის“ (ს/ნ: №402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
11. „ქ. თბილისში, ტიცვან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
12. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი წარადგინა, რომელიც 1 021 400.0 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 1 400.6 ათასი ლარით.

ბატონმა გაიოზმა, კომისიის წევრებს ის პრიორიტეტები გააცნო, რომლებიც მომავალი წლის ბიუჯეტით არის გათვალისწინებული, კერძოდ:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება (121 731.1 ათასი ლარი), პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1167,4 ათასი კვ.მ გზების კაპიტალური და 535.3 ათასი კვ.მ გზების მიმდინარე შეკეთება. ტრანსპორტის განვითარების პროგრამა - 29 858,5 ათასი ლარი, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 17 258,5 ათასი ლარი და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 12 600,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება (269 356.9 ათასი ლარი).
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება (განისაზღვრება 111 348,1 ათასი ლარით), რაც 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 11,281.4 ათასი ლარით, ასევე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში გრძელდება პროგრამები ბიზნესის სტიმულირება; თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია და სხვ.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, რომელიც წინა წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია და განისაზღვრა - 38 296.3 ათასი ლარით, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (დაფინანსებული 151 695,8 ათასი ლარით) ასევე განათლება, რომელიც განსაზღვრულია 168 811,0 ათასი ლარით, პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას, რომელიც განსაზღვრულია 144 668,9 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დღეს მდგომარეობით ფინანსდება 185 საბავშვო ბაღი. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 15 ბაღის დემონტაჟი

და მშენებლობის დაწყება, ასევე გაგრძელდება ავარიული ბაღების შენობების გამაგრება.

- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა, (41 835,6 ათასი ლარით), ასევე საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (6 601,2 ათასი ლარი).

რაც შეეხება ქ. თბილისის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს, გაიწოთ თალაკვაძის თქმით, პრიორიტეტი განსაზღვრულია 104 597,1 ათასი ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა.

საკითხის წარმომადგენის განმარტებით, 2020 წლის ბიუჯეტში გამოყენებული იქნა თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. მისივე თქმით, პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები ესენია: გზების მოვლა-შეკეთება; თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამები; სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის მწვრთნელთა მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება და სხვა.

#### გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ - ილია ელოშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "შპს „ცერერასთვის“ (ს/ნ 220355835) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მერის მოადგილე მიესალმა კომისიის წევრებს და განაცხადა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხი ერთ-ერთი უმწვავესი თემაა დედაქალაქისთვის, როგორც ურბანული, ასევე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. მისივე თქმით, დედაქალაქში ასობით ოჯახია დაზარალებული, რომლებიც სახელმწიფოსგან ქმედითი ნაბიჯების განხორციელებას ელოდებიან.

ილია ელოშვილის თქმით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა დაუმთავრებელი მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი წევრებით. კომისიას გააჩნია ქმედითი ბერკეტები და

ახორციელებს შთამბეჭდავ სამუშაოს, წარმოდგენილი საკითხის მოგვარების კუთხით. აღნიშნული კომისია შეისწავლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაინტერესებულ პირთა განცხადებებს/წინადადებებს და გასცემს რეკომენდაციას დაზარალებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით.

მომხსენებელმა საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შპს „ცერერასთვის“ მისამართზე - დიდმის მასივი, მარშალ გელოვანის 53ა (ს/კ N01.13.04.004.016) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას, კერძოდ: „შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს ახალი მშენებლობის ნებართვა 2019 წლის 20 მაისის ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით განსაზღვრული ობიექტისთვის შენობის საერთო ფართობის 3000 კვ.მ-ის დამატებით, რაც ჯამურად შეადგენს შენობის საერთო ფართობს - 24821.9 კვ.მ-ს“.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ 2019 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე განიხილა შპს „ცერერას“ 2019 წლის 25 ივლისის განცხადება და კომპანიის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია, ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმოდგენის თქმით, კომისიის მიერ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე, სამშენებლო ნებართვა გაცემულია 2007 წლის 27 ნოემბრის შესაბამისი ბრძანებით და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი არის  $k=2=4.2$ . კომპანიის მიერ წარდგენილი განცხადების მიხედვით, მშენებლობას ჰყავდა დაზარალებულები, რომელთა ნაწილი დაკმაყოფილდა ფართებით, ნაწილი კი ფულადი თანხით. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად განმცხადებლის მიერ კომისიისთვის წარდგენილი იქნა დოკუმენტაცია:

ა) შპს „ცერერასა“ და შპს „დილომი XXI“-ს შორის 2017 წელს გაფორმებული უძრავი ნივთის სამომავლო ნასყიდობისა და ბეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით დგინდება შპს „ცერერას“ ვალდებულება ზემოაღნიშნულ საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სანაცვლოდ შპს „დილომი XXI“-სთვის 1220 კვ.მ ოდენობის ფართების და შესაბამისი ავტოსადგომების გადაცემისა და ასევე 750 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე.

ბ) სს „საქართველოს ბანკის“ ელექტრონული საგადასახადო დავალებები, რომლითაც დასტურდება შპს „ცერერას“ მიერ შპს „დილომი XXI“-სთვის 1 704 400 ლარის გადახდა.

გ) შპს „ცერერას“ დირექტორის განცხადება, რომელიც ადასტურებს შპს „დილომი XXI“-სთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების 750 000 აშშ დოლარის გადახდის

და 1220 კვ.მ საცხოვრებელი ფართის და შესაბამისი ავტოსადგომების გადაცემის ვალდებულების სრულად შესრულებას.

საკითხის წარმოდგენმა იქვე დასძინა, რომ შპს „დილომი XXI“ ამჟამად ლიკვიდირებულია და კომპანიის რეგისტრაცია გაუქმებულია. ამასთან, როგორც მერის მოადგილემ განმარტა, კომისიაში წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დასტურდება, რომ შპს „ცერერას“ აქვს საქართველოს ბანკის სასესხო ვალდებულება 2 450 000 აშშ დოლარის ოდენობით.

ილია ელოშვილის თქმით, კომისიამ არ გაითვალისწინა დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით შპს „ცერერას“ დასაბუთება საბანკო ვალდებულების და გაწეული ფულადი ხარჯის გათვალისწინების შესახებ (საქართველოს ბანკის ასესხო ვალდებულება და შპს „დილომი XXI“-სთვის ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი 750 000 აშშ დოლარი).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შპს „ცერერას“ მიერ შპს „დილომი XXI“-სთვის ვალდებულების სახით გადაცემული ფართის (1220 კვ.მ.) გათვალისწინებით, კომისიამ გასცა რეკომენდაცია, მისამართზე - დიდმის მასივი, მარშალ გელოვანის 53ა დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე.

დასასრულს, ბატონმა ილიამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა, „შპს „ცერერას“, საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადის და დოკუმენტაციის ფარგლებში, მისამართზე - დიდმის მასივი, მარშალ გელოვანის 53ა დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიება: შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს ახალი მშენებლობის ნებართვა 20169 წლის 20 მაისის შესაბამისი ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით განსაზღვრული ობიექტისთვის შენობის საერთო ფართობის 3000 კვ.მ.-ის დამატებით, რაც ჯამურად შეადგენს შენობის საერთო ფართობს - 24821.9 კვ.მ-ს.

### გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ - ილია ელოშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „შპს „ოპტიმასთვის“ (ს/ნ 405160819) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თბილისის მერის მოადგილემ საკითხის წარმოდგენისას, სამშენებლო კომპანია “სვეტის” მიერ დაზარალებულთა საკითხზე ისაუბრა. ბატონი ელოშვილის თქმით, გაფორმდა

ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, კომპანია „სვეტის“ დაუსრულებელ მშენებლობებს სამშენებლო კომპანია „M კვადრატ“ გადაიბარებს, შედეგად, კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებულ ასობით ოჯახს, მოუგვარდება პრობლემა და მოხდება მათი დაკმაყოფილება.

ზატონი ილიას თქმით, დაზარალებულების ინტერესების გათვალისწინებით „სვეტის“ სამშენებლო ობიექტებს, კერძოდ, ნუცუბიძის, მირცხულავას და ჭყონდიდელის ქუჩებზე არსებულ სამშენებლო ობიექტებს, რომლებსაც ასეულობით დაზარალებული ჰყავს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 ოქტომბრის N332 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის N59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად მიენიჭა დაუმთავრებელი მშენებლობების სტატუსი.

მერის მოადგილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ, 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე განიხილა შპს „მ2 ვაკეში“ და შპს „ოპტიმას“ განცხადებები, მისამართებზე - ქ.თბილისი, მირცხულავას ქუჩა N9-11; ქ. თბილისი ნუცუბიძის ქუჩა N125ა და ქ. თბილისი ჭყონდიდელის ქუჩა N22-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, რა დროსაც გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N332 განკარგულებით, ზემოაღნიშნულ მისამართებზე მდებარე ობიექტებს მიენიჭა დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი;

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი მირცხულავას ქუჩა N9-11 მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში დადგენილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი საერთო ფართობზე:  $კ-2 = 3,9$ ;

გ) მისამართზე - ქ. თბილისი ნუცუბიძის ქუჩა N125ა არსებულ სამშენებლო ობიექტზე მშენებლობის ნებართვა გაცემულია N1 (ყოფილი N2) და N2 (ყოფილი N3), მათგან მხოლოდ N1 ბლოკი (ყოფილი N2) წარმოადგენს დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე ობიექტს. შეთანხმებული გრგ-ს ფარგლებში (N354, 29.09.2017; N159, 10.07.2018 (წითელი ხაზების კორექტირება)) დადგენილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი საერთო ფართობზე:  $კ-2 = 4,3$ ;

დ) მისამართზე - ქ. თბილისი ჭყონდიდელის ქუჩა N22 მშენებლობის ნებართვა გაიცა მხოლოდ 1-2 ბლოკზე, დანარჩენ ბლოკებზე მშენებლობა ნაწარმოებია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში. შეთანხმებული გრგ-ს ფარგლებში დადგენილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი საერთო ფართობზე:  $კ-2 = 2,5$ ;

ე) განმცხადებლის მიერ წარდგენილია შპს „სვეტი ჯგუფის“, შპს „სვეტი დეველოპმენტის“, შპს „სვეტი ნუცუბიძეს“, როგორც არსებული მესაკუთრეებისთვის, შპს „მ2 ვაკეში“, როგორც მყიდველის და შპს „სვეტი ტრანსფერის“ როგორც გამყიდველის 2019 წლის 27 აგვისტოს ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში მოცემულია დაზარალებული პირების შესახებ ინფორმაცია.

ვ) გარდა ამისა, განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა 2019 წლის 11 სექტემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. შპს „მ2 ვაკეში“ და შპს „ბკ კონსტრაქშენს“ შორის გაფორმებული მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

როგორც ბატონმა ილიამ აღნიშნა, შპს „ოპტიმამ“ (ყოფილი შპს მ2 ვაკეში) მოითხოვს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება:

ა) მისამართზე-ქ. თბილისი, მირცხულავას ქუჩა N9-11;

ა.ა) კ-2 კოეფიციენტის გაზრდა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად გრგ-ს სრულ არეალში კ-2-7.3 (157 894 კვ.მ) (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ა.ბ) მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისის დადგენა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ა.გ) სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნებისგან გათავისუფლება (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ა.დ) ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ა.ე) გრგ-ს კორექტირებისათვის/პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღებისათვის დამტკიცებულ გრგ-ში შემავალი N01.13.04.017.105, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.108, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.110, N01.13.04.017.096, N01.13.04.017.101 მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა და აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებული უფლებების მქონე პირთა თანხმობების მოთხოვნისგან გათავისუფლება (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ბ) მისამართზე- ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N125ა;

ბ.ა) კ-2 კოეფიციენტის გაზრდა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად გრგ-ს სრულ არეალში კ-2-5.8 (65 591 კვ.მ) (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ბ.ბ) მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისის დადგენა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ბ.გ) სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნებისგან გათავისუფლება (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ბ.დ) ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

ბ.ე) გრგ-ს კორექტირებისათვის/პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღებისათვის საკადასტრო კოდზე N01.14.02.025.062 რეგისტრირებულ/სამომავლო მოთხოვნების მქონე/კერძო და საჯარო სამართლებრივი შეზღუდვების ინიციატორ პირთა

თანხმობების მოთხოვნებისაგან გათავისუფლება (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

გ) მისამართზე- ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N22;

გ.ა) კ-2 კოეფიციენტის გაზრდა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად გრგ-ს სრულ არეალში კ-2-4.9 (105 337 კვ.მ)(N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

გ.ბ) მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისის დადგენა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

გ.გ) სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნებისგან გათავისუფლება (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

გ.დ) ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (N10/01193522203-01, 18.12.2019; 10/01193571767-01, 23.12.2019);

გ.ე) გრგ-ს კორექტირების/პროექტების შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვების აღებისათვის N01.12.12.024.206, N01.12.12.024.207, N01.12.12.024.208, N01.12.12.024.209, N01.12.12.024.210, N01.12.12.024.211, N01.12.12.024.212, N01.12.12.024.213, N01.12.12.024.214, N01.12.12.024.215, N01.12.12.024.216, N01.12.12.024.217, N01.12.12.024.218, N01.12.12.024.219, N01.12.12.024.220, N01.12.12.024.221, N01.12.12.024.222, N01.12.12.024.223, N01.12.12.024.224 საკადასტრო კოდეზზე რეგისტრირებულ პირთა თანხმობების მოთხოვნისაგან განთავისუფლება.

როგორც მერის მოადგილემ განმარტა, არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართებზე - ქ. თბილისი, მირცხულავას ქუჩა N9-11, ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N125ა და ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N22 - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა:

შპს „ოპტიმას“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის (N10/01193263144-01, 22.11.2019; N10/01193392213-01, 05.12.2019; N10/01193522203-01, 18.12.2019; N1001193571767-01, 23.12.2019) ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, მირცხულავას ქუჩა N9-11 (ს/კN01.13.04.017.105, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.108, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.110), ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N125ა (N01.14.02.025.062) და ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N22 (N01.12.12.024.206, N01.12.12.024.207, N01.12.12.024.208, N01.12.12.024.209, N01.12.12.024.210, N01.12.12.024.211, N01.12.12.024.212, N01.12.12.024.213, N01.12.12.024.214, N01.12.12.024.215, N01.12.12.024.216, N01.12.12.024.217, N01.12.12.024.218, N01.12.12.024.219, N01.12.12.024.220, N01.12.12.024.221, N01.12.12.024.222,

N01.12.12.024.223, N01.12.12.024.224) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, მირცხულავას ქუჩა N9-11 (ს/კN01.13.04.017.105, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.108, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.110)

ა.ა) შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი გრგ-ს დაუმთავრებელ ნაწილზე განაშენიანების ინტესივობის კ-2 კოეფიციენტის გადამეტებით, არაუმეტეს კ-2 7.3-სა (157 894კვ.მ);

ა.ბ) გაზიარებულ იქნას კომპანია „ოპტიმას“ მიერ სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტები და გაიცეს მშენებლობის ნებართვები წარმოდგენილი გეგმებით განსაზღვრული გეგმარებების შესაბამისად;

ა.გ) დადგინდეს მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისი, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმარების შესაბამისად;

ა.დ) არ გავრცელდეს სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნები;

ა.ე) შეთანხმდეს ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმის შესაბამისად;

ა.ვ) გათავისუფლდეს გრგ-ს კორექტირებისათვის/პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღებისათვის დამტკიცებულ გრგ-ში შემავალი N01.13.04.017.105, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.108, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.110, N01.13.04.017.096, N01.13.04.017.101 მესაკუთრეთა/ყველა დაინტერესებულ პირთა და აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებული უფლებების მქონე პირთა თანხმობების მოთხოვნისაგან;

ა.ზ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მხედველობაში მიიღოს კომისიის მიერ განხილული და დადებითად შეფასებული ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი;

ა.თ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს საინჟინრო კომუნიკაციების(წყალმომარაგება, ელექტრო და ბუნებრივი აირი) ოპერატორი კომპანიების შესაბამისი თანხმობა;

ბ) მისამართზე- ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N125ა:

ბ.ა) შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი გრგ-ს დაუმთავრებელ ნაწილზე განაშენიანების ინტესივობის კ-2 კოეფიციენტის გადამეტებით, არაუმეტეს კ-2 5.8-სა (65 591 კვ.მ).

ბ.ბ) გაზიარებულ იქნას კომპანია „ოპტიმას“ მიერ სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტები და გაიცეს მშენებლობის ნებართვები წარმოდგენილი გეგმებით განსაზღვრული გეგმარებების შესაბამისად;

ბ.გ) დადგინდეს მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისი, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმარების შესაბამისად;

ბ.დ) არ გავრცელდეს სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნები;

ბ.ე) შეთანხმდეს ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმის შესაბამისად;

ბ.ვ) გათავისუფლდეს გრგ-ს კორექტირებისათვის/პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღებისათვის საკადასტრო კოდზე N01.14.02.025.062 რეგისტრირებულ/სამომავლო მოთხოვნების მქონე/კერძო და საჯარო სამართლებრივი შეზღუდვების ინიციატორ პირთა და ყველა დაინტერესებულ პირთა თანხმობების მოთხოვნებისაგან;

ბ.ზ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მხედველობაში მიიღოს კომისიის მიერ განხილული და დადებითად შეფასებული ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი;

ბ.თ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს საინჟინრო კომუნიკაციების(წყალმომარაგება, ელექტრო და ბუნებრივი აირი) ოპერატორი კომპანიების შესაბამისი თანხმობა;

გ) მისამართზე- ქ.თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N22 N01.12.12.024.206, N01.12.12.024.207, N01.12.12.024.208, N01.12.12.024.209, N01.12.12.024.210, N01.12.12.024.211, N01.12.12.024.212, N01.12.12.024.213, N01.12.12.024.214, N01.12.12.024.215, N01.12.12.024.216, N01.12.12.024.217, N01.12.12.024.218, N01.12.12.024.219, N01.12.12.024.220, N01.12.12.024.221, N01.12.12.024.222, N01.12.12.024.223, N01.12.12.024.224);

გ.ა) შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი გრგ-ს სრულ არეალზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის გადამეტებით, არაუმეტეს კ-2 -4.9 (105 337 კვ.მ)

გ.ბ) გაზიარებულ იქნას კომპანია „ოპტიმას“ მიერ სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტები და გაიცეს მშენებლობის ნებართვები წარმოდგენილი გეგმებით განსაზღვრული გეგმარებების შესაბამისად;

გ.გ) დადგინდეს მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისი, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმარების შესაბამისად;

გ.დ) არ გავრცელდეს სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნები;

გ.ე) შეთანხმდეს ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმის შესაბამისად;

გ.ვ) გათავისუფლდეს გრგ-ს კორექტირების/პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღებისათვის N01.12.12.024.206, N01.12.12.024.207, N01.12.12.024.208, N01.12.12.024.209, N01.12.12.024.210, N01.12.12.024.211, N01.12.12.024.212, N01.12.12.024.213, N01.12.12.024.214, N01.12.12.024.215, N01.12.12.024.216, N01.12.12.024.217, N01.12.12.024.218, N01.12.12.024.219, N01.12.12.024.220, N01.12.12.024.221, N01.12.12.024.222, N01.12.12.024.223, N01.12.12.024.224 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ პირთა და ყველა დაინტერესებულ პირთა თანხმობების მოთხოვნისაგან;

გ.ზ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მხედველობაში მიიღოს კომისიის მიერ განხილული და დადებითად შეფასებული ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი;

გ.თ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს საინჟინრო კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრო და ბუნებრივი აირი) ოპერატორი კომპანიების შესაბამისი თანხმობა.

ბატონი ილიას განმარტებით, ვინაიდან N59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად, შემდეგ ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღება და აღნიშნული გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, საკრებულოსთან წარმოდგენილია შესათანხმებლად ზემოაღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულებათა პროექტები.

#### გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის NE-

236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, 2013 წლის 26 ნოემბერს, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს მიერ ჩატარებული აუქციონის შედეგად, N 01.11.12.019.129 - საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება გასხვისდა და 2014 წელს გაიცა საკუთრების მოწმობა, რომლის მიხედვით, სამშენებლო განვითარება შესაძლებელი გახდა, მხოლოდ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ შეთანხმებით. ვინაიდან, მიწის ნაკვეთზე გაედინებოდა კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენის მილები.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის შესაბამისი ოქმით გათვალისწინებული შეზღუდვის გაუქმებას, ვინაიდან, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული წყლის მილი ამჟამად გაუქმებულია და წყალსადენ-წყალარინების ქსელები მიწის ნაკვეთზე არ გაედინება.

**აზრი გამოთქვა:**

ლევან ჟორჯოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. გარდა ამისა, მიზანშეწონილია შეიცვალოს განკარგულების პროექტის სათაური და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე” .

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, აგრეთვე, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თხოვნა და “ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის NE-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N19.1341.1672 განკარგულების შესაბამისად, გაუქმდეს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობა: „შეზღუდვა: სამშენებლო განვითარება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ (საიდენტიფიკაციო N203826002) შეთანხმებით“.

**გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გაა გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა № 16-ში მდებარე უძრავი ქონების - 32.44 კვ. მ. ფართის, მოქალაქე შავლეგი ბიძინაშვილისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ისნის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობა ქ. თბილისი შალვა მშველიძის ქ. № 16-ში მცხოვრები მოქალაქეების, მათ შორის, შავლეგი ბიძინაშვილის მიერ ფაქტობრივი სარგებლობით დაკავებული საცხოვრებელი ფართების, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ბატონი გიას თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ შავლეგი ბიძინაშვილი 1992 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართში. ასევე, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილის თანახმად მოქალაქე შავლეგი ბიძინაშვილი ნამდვილად ცხოვრობს მისამართზე: შალვა მშველიძის № 16.

დასასრულს, გაა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მოქალაქე შავლეგი ბიძინაშვილის და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს მთავრობის 2019 წლის 4 დეკემბრის № 19.1265.1599 განკარგულების სათაური, აღნიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები. შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი "საქსოფმანქანა"), IV კვარტალის კორპუსი N 11 ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ლილოს დასახლება IV კვარტალი, კორპუსი N11, მე-6 სართული, ბინა N12, 77,41 კვ.მ. ფართის, მოქალაქე შოთა კიკნაძისათვის, სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით გადაცემის თაობაზე, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, 1997 წლიდან, ოჯახთან ერთად მცხოვრებ, „დევნილი“-ს სტატუსის არმქონე პირისთვის - შოთა კიკნაძისთვის, მის სარგებლობაში არსებული აღნიშნული იზოლირებული ფართის სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ, სამგორის რაიონის გამგეობაში წარდგენილია, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლებთან გასაუბრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მოქალაქე შოთა კიკნაძე 1977 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ამასთან, სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ შედგენილი შემოწმების აქტის მიხედვით, აღნიშნული მოქალაქე, მეუღლესთან - ნათელა კიკნაძესთან ერთად 1979 წლიდან ცხოვრობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ლილოს დასახლება (ყოფილი საქსოფმანქანა) IV კვარტალი, კორპუსი N11.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში ასევე წარდგენილია მოქალაქე შოთა კიკნაძის დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა და კომუნალური მომსახურების ქვითრები.

დასასრულს, გია გვენეტაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მოქალაქე შოთა კიკნაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჯოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2019 წლის 4 დეკემბრის N19.1268.1593 განკარგულების სათაური და აღნიშნულ იქნას უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური. შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

#### გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გაა გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა, კოტეჯი N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.005.027.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა, კოტეჯი N7ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 42.79 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების, მოქალაქე კახაბერი ბერიშვილისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, დევნილის სტატუსის არმქონე პირისთვის - კახაბერ ბერიშვილისთვის, რომელიც აღნიშნულ ფართში ოჯახთან ერთად ცხოვრობს 1985 წლიდან დღემდე, მის სარგებლობაში არსებული იზოლირებული საცხოვრებელი ფართის სიმბოლურად ფასად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ბატონი გიას თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილისა და მასზე თანდართული ოქმის თანახმად, ასევე, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მოქალაქე კახაბერი ბერიშვილი, 1985 წლიდან დღემდე, ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა N7ა, ფართი 42.79კვ.მ. კახაბერ ბერიშვილის ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი ასევე დასტურდება, სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის, შემოწმების აქტით.

დასასრულს, გაა გვენტამემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მოქალაქე კახაბერი ბერიშვილის და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, მთავრობის 2019 წლის 4 დეკემბრის N19.1267.1594 განკარგულების სათაური მიეთითოს სწორი ფორმით და პროექტის პირველ პუნქტში ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

**გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოსმინეს:**

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გაა გვენტამემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი #4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.09.005.162) შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 404535446) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, „ბოსტონ დეველოპმენტისთვის“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, კიბის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 2040 (ორი ათას ორმოცი) ლარი.

გაა გვენტამემ განმარტა, რომ აღნიშნული კომპანია მომავალ მესაკუთრედ არის რეგისტრირებული მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებაზე.

**აზრი გამოთქვა:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

**გადაწყვეტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოსმინეს:**

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ იჯარით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 20 640 (ოცი ათას ექვსას ორმოცი) ლარი.

გია გვენეტაძემ განმარტა, რომ ზემოხსენებული იურიდიული პირის საკუთრებაშია სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება.

დასასრულს, ბატონმა გიამ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის თანახმად, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა, ქ. თბილისის საკრებულოს №14-39 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**აზრი გამოთქვა:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

### გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

### მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გაა გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.007.031) 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის“ (ს/ნ:№402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ის მიმდებარედ, 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 30 ოქტომბრამდე.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარი.

გაა გვენეტაძემ განმარტა, რომ აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია, ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ში მდებარე უძრავი ქონება.

დასასრულს, ბატონმა გაამ აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

### აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, სასურველია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და მთავრობის N19.12951623 განკარგულება მიეთითოს შემდეგი სახით:

„ ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.007.031) 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის“ (ს/კ №402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“.

## გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

## მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გაია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, თანხმობის მიცემას, ქ. თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, თენგიზ ჩუბინიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N74ა-ში მდებარე 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.15.003.029) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N19.1344.1712 დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა განპირობებულია იმ მოტივით, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, თენგიზ ჩუბინიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, საცხოვრებელი ზონა 2-ის ნაცვლად მიენიჭა სატყეო ზონა, რის შედეგად გაუარესდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობით დაინტერესებული პირმა გამოთქვა მზადყოფნა, გადაეხადა დამატებითი თანხა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების გამოვლენის შემთხვევაში, ხოლო მუნიციპალური ნაკვეთების საერთო ღირებულებასთან შედარებით, მისი მიწის ნაკვეთის უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების გამოვლენის შემთხვევაში, სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნებოდა არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძის საკუთრებაში არსებული 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე მოქმედი ფუნქციური ზონის დაბრუნება და მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის

ცვლილება მიზანშეწონილად არ მიიჩნია მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა. ამასთან, თენგიზ ჩუბინიძის მიერ დამატებით მოთხოვნილ 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, მიწის ნაკვეთის განკარგვა უნდა განხორციელდეს, სარეკრეაციო ზონა 1-ის შენარჩუნებით.

ბატონი გიას თქმით, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ექსპერტიზის დასკვნით:

- 01.14.02.005.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 318 552 (სამას თვრამეტი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.
- 01.14.11.057.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 46 557 (ორმოცდაექვსი ათას ხუთას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით.
- N01.14.15.003.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი, N004993219 ექსპერტიზის დასკვნით, მისი საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 18 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 368 341 (სამას სამოცდარვა ათას სამას ორმოცდაერთი) ლარის ოდენობით, რაც აღემატება მუნიციპალური ნაკვეთების საბაზრო ღირებულებების ოდენობას. აღსანიშნავია, რომ დამკვეთის მოთხოვნით, მიწის ნაკვეთი შეფასდა მიწათსარგებლობის ახალ გენერალურ გეგმამდე მოქმედი, 2014-2018 წლებში დადგენილი ფუნქციური ზონით (საცხოვრებელი ზონა 2).

დასასრულს, გია გენერტამემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მისაღებად მიიჩნია, ზემოაღნიშნული გარემოებებისა და მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის დანართი N6-ის გათვალისწინებით, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვა:**

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს რომ გაცვლის ფორმით პრივატიზება, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, ხორციელდება მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძის საკუთრებაში არსებული ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გაა გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ი.მ.ა „აკურის N27,29,33 აღმასიანის N34,40,42,46“-თვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაცემას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.1404.1765 განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის თქმით, ამხანაგობის თავმჯდომარემ, არაერთი განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქ. თბილისში, ზიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიძის ქ. N40-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის დაუსრულებელ მშენებლობასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, მერიაში დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიის წერილი, რომლის თანახმად, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია დაუმთავრებელი მშენებლობისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება კერძოდ: მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემა, განაშენიანების მაღალი ინტენსივობის შემცირების და რეკრეაციული სივრცის განვითარების ხელშემწყობის მიზნით საპროექტო ობიექტში (ს/კ: 01.10.13.035.053) საცხოვრებელი ფართის და მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირების სანაცვლოდ. ამასთან წარდგენილია, სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ განიხილა წარდგენილი წინადადება და სამშენებლო ობიექტის პარამეტრების და მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოაღნიშნული საპროექტო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები. ამასთან, კომისიამ დაინტერესებული პირისგან მოითხოვა, დეტალური ინფორმაცია

დაზარალებულთა შესახებ და სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გია გვენეტაძის თქმით, ამხანაგობის თავმჯდომარემ შესაძლებლად მიიჩნია, ალტერნატიული ტერიტორიის გადაცემის შემთხვევაში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით და კომუნალური დავალიანებების გარეშე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეს ტერიტორიიდან ცალკე საკადასტრო ერთეულად გამოყოფილი უძრავი ქონება: ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიძის ქ. N40-ში მდებარე 1265 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ: 01.10.13.035.054); ამასთან, ითხოვა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა.

როგორც გია გვენეტაძემ აღნიშნა, ამხანაგობის თავმჯდომარემ განცხადებით დააფიქსირა თავისი მისაზრება და აღნიშნა, რომ უძრავ ქონებას დათმობს მხოლოდ იმ პირობით, თუ არ მოუწევს დამატებითი თანხის გადახდა, თუკი შერჩეული ტერიტორიის ღირებულება მეტი იქნება ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ღირებულებაზე. ამასთან, არც ამხანაგობას ექნება პრეტენზია, თუ ცალკე საკადასტრო ერთეულად გამოყოფილი უძრავი ქონების ღირებულება მეტი აღმოჩნდება გადასაცემი ტერიტორიის ღირებულებაზე.

გია გვენეტაძემ იქვე დასძინა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე ზემოაღნიშნულ განცხადებაში აღნიშნა, რომ სამშენებლო პროექტის (N01.10.13.035.053 კოდიტ რეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულზე) 13 სართულამდე შემცირებით (ნაცვლად 27 სართულისა) სამშენებლო მოცულობა შემცირდა საერთო ჯამში 16 172.2 კვ.მ-ით, საიდანაც საცხოვრებელი ფართის მოცულობაა 11 933.8 კვ.მ, რასაც თანხაში განსაზღვრავს დაახლოებით 9,546,400 (ცხრა მილიონ ხუთას ორმოცდაექვსი ათას ოთხასი) აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, ამხანაგობის თავმჯდომარის თქმით, საკითხის გადაწყვეტით განიტვირთება დასახლებული უბანი, გამოირიცხება ტერიტორიის შემდგომი გამოყენება სამშენებლო მიზნებისთვის, ხოლო ამხანაგობის ინტერესები დაკმაყოფილდება ალტერნატიულ ნაკვეთზე განვითარებული სამშენებლო პროექტის ფარგლებში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ექსპერტიზის დასკვნით:

- ✓ 01.14.01.007.350 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3,456,500 ლარის ოდენობით.
- ✓ 01.10.13.035.054 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1,505,350 ლარის ოდენობით.

ბატონმა გიამ აღნიშნა, რომ მოთხოვნილი ტერიტორიის ნაწილზე გამოვლენილია მესამე პირის საკუთრების უფლების მოთხოვნა, რომელთან დაკავშირებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია ფიზიკური პირი მურთაზ იმნაძის ნოტარიულად

დამოწმებული განცხადება, რომლის თანახმადაც, მას არ აქვს პრეტენზია 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ამხანაგობის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციის თანახმად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვა. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის შესაბამისად, სამსახური არ არის მიწის ნაკვეთის განკარგვის წინააღმდეგი.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური ქონების საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულებას, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი თხოვნის დაკმაყოფილება და მოთხოვნილი ტერიტორიის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად ამხანაგობისთვის გადაცემა, ვინაიდან განაშენიანების ინტენსივობის შემცირების გარდა, წარმოდგენილი წინადადება შესაძლებლობას იძლევა თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემ ტერიტორიაზე მოეწყოს სარეკრეაციო ან საერთო სარგებლობის სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცე. შესაბამისად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი ტერიტორიის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად ამხანაგობისთვის გადაცემის საკითხი, შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

ა) ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიდის ქ. N40-ში მდებარე 1265 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ: 01.10.13.035.054) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ბ) 01.10.13.035.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და აღნიშნული ტერიტორიის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში.

დასასრულს, საკითხის მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართის მიხედვით, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება ძალაში შედის „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად, ქ. N33/პავლე ასლანიდის ქ. N40-ში მდებარე 1265 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.13.035.053) არსებული სპმშენებლო ობიექტის მიმართ დაუშვებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების

თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იქნა მიღებული და შეთანხმებული ამ ხელშეკრულებით მითითებული გადაწყვეტილება, ხელშეკრულება გაუქმდება ავტომატურად (ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ რაიმე დამატებითი მოქმედების განხორციელების გარეშე).

#### გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### მოსმინეს:

13. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა - დავით ჩანქსელიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირების და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზებას უზრუნველყოფს შპს „თბილსერვის ჯგუფი“. აღნიშნული მომსახურება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას; წარმოქმნილი მყარი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას; ნარჩენების გაუვნებლობასა და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრას;
- ✓ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზებას; მონაცემთა ბაზების დროულ განახლებას; დარიცხული მოსაკრებლის კორექტირებას და მონაცემთა ბაზაში აღრიცხვას;

- ✓ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების განწილვადება;
- ✓ დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისის მოსახლეობისათვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების განწილვადება არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა.
- ✓ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების თანხაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის უზუსტობის შემთხვევაში დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრას შესაბამისი სუბიექტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დასასრულს, დავით ჩანქსელიანმა განმარტა, რომ დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდება შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ანგარიშზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მითითებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტები. ამასთან, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მოხსენიებული იქნეს შემდეგი სახით:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი“

ამასთან, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში N17-46 დადგენილების სათაური მიეთითოს სწორი ფორმით. ასევე, უმჯობესია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



ლევან ჟორჯოლიანი

სხდომის მდივანი



ნინო ჯვალანია